



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

„აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 15 დეკემბერი, 2023 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 05 თებერვალი, 2024 წ.

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	19
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	25
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	28
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	38

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	შპს-საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დარეჯან გარდავაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ქაროსანიძე, შპს თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	აღმოსავლეთმცოდნეობა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Eastern Studies
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ახლო აღმოსავლეთის კვლევების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0388 ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული გადაწყვეტილება #782154 24.06.2022
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „აღმოსავლეთმცოდნეობის“ მონიტორინგზე შესაფასებლად წარმოდგენილმა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია პირველად 13.12.2012 წელს გაიარა.

არსებობის მანძილზე პროგრამაში გარკვეული მოდიფიცირება რამდენჯერმე განხორციელდა:

- 2014 წელს სხვა საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამამ გარკვეული ცვლილებები განიცადა;
- 2020 წელს (კურიკულუმს დაემატა სასწავლო კურსი: თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი);
- 2021 წელს (ორ სასწავლო კურსში: ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფია და ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია) გაიზარდა სალექციო საათების რაოდენობა. ასევე, სავალდებულო არჩევით კურსებში (არაბული ენა, თურქული ენა, სპარსული ენა) B1 სასწავლო კურსი გაიყო B1/1 და B1/2 დონეებად; არაბული, სპარსული და თურქული ენების B2 და B2+ დონის ნაცვლად მომზადდა ახალი დონეები B2/1 და B2/2 დონეები და კურიკულუმს დაემატა შესაბამისი კურსები: არაბული/სპარსული/თურქული ენა III (B1/1) და არაბული/სპარსული/თურქული ენა IV (B1/2), არაბული/სპარსული/თურქული ენა V (B2/1), არაბული/სპარსული/თურქული ენა VI (B2/2). მოდიფიცირდა ენების (არაბული ენა, თურქული ენა, სპარსული ენა) სასწავლო კურსების შეფასების სისტემა; პროგრამის კურიკულუმიდან ამოღებულ იქნა კურსები: არაბული/სპარსული, თურქული ენა VI (თანამედროვე სალიტერატურო არაბული/სპარსული/თურქული ენის ნორმები) და ამ კურსების მასალა შესაბამისი კორექტირების შედეგად გადანაწილდა სამივე ენის B2/2 კურსის შინაარსში. პროგრამას დაემატა არაბული/სპარსული/თურქული ენა VIII (თარგმანის თეორია და პრაქტიკა).
- 2022 წელს, როცა აღმოსავლეთმცოდნეობის განახლებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, შეცვლილი კვალიფიკაციით (ახლო აღმოსავლეთის კვლევები) სააკრედიტაციო პროცედურებისთვის წარდგენილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა **2022 წლის 19 აპრილს**. აკრედიტაციის საბჭოზე განხილვისას, ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე და დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის გათვალისწინებით (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით (24.06.2029 -მდე), ექვსი თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენისა და ერთი წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ ექვსი თვის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში განხილულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ და მიღებულ იქნა ცნობად რეკომენდაციების შესრულება.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებისამებრ, აკრედიტაციის მინიჭებიდან ერთი წლის თავზე პროგრამის მონიტორინგის მიზნით აკრედიტაციის ექსპერტთა შპს საქართველოს უნივერსიტეტში ვიზიტი დაიგეგმა 15.12.2023 წ.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის წევრების წინამოსამზადებელი შეხვედრა შედგა, სადაც ჯგუფის თავმჯდომარემ და ჯგუფის წევრმა ექსპერტმა გადაინაწილეს ფუნქციები. წინამოსამზადებელ შეხვედრაზე ექსპერტებმა პროგრამის დოკუმენტებზე დეტალურად იმსჯელეს და გაუზიარეს ერთმანეთს წინასწარი მიგნებები, ასევე, განისაზღვრა დღის წესრიგით განსახილველი საკითხები.

ვიზიტი დაიწყო 15.12.2023 წ. 10:00 საათზე საქართველოს უნივერსიტეტში.

შეხვედრები შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რომელიც წარმოდგენილი იყო ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორით, აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსით.

შეხვედრა შედგა ასევე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, რომელთაც ახსენეს და განმარტეს პროგრამის მოდერნიზებაში თავიანთი ჩართულობის ხარისხი, უფლება-მოვალეობები და ფუნქციები პროგრამის ცალკეულ კომპონენტებზე მუშაობისას.

პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამა შეიცვალა აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად, მოხდა საგნების გადახედვა, ცვლილებები კურიკულუმში და საგნების შეცვლა, რაც, ბუნებრივია, აისახა პროგრამის მიზან-შედეგებშიც.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრისას კომისია გაეცნო პროგრამული ცვლილებებისა და მათი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ შეფასების მექანიზმებს და ინსტრუმენტებს.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეხვედრაზე დაისვა კითხვები აკადემიური პერსონალის კურიკულუმის მოდერნიზებაში ჩართულობის შესახებ.

ექსპერტების ჯგუფმა დაათვალიერა ასევე პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში უნივერსიტეტის განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ასევე შედგა შეხვედრა სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის მონიტორინგის პროცესში აკრედიტაციის ექსპერტთა ჩართულობა და აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ შპს საქართველოს უნივერსიტეტში ვიზიტი მიზნად ისახავდა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ადგილზე გადამოწმებას, რისთვისაც, ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის გარდა, საჭირო იყო ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორთან, აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან.

ვიზიტმა აჩვენა, რომ ინსტიტუციამ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154 განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ შეასრულა და პროგრამის ხუთივე სტანდარტთან შესაბამისობა ექვს ალარ იწვევს.

მონიტორინგისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა პროგრამის შინაარსის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და კლასიფიკატორით განსაზღვრულ სფეროსთან ზუსტ თანხვედრაზე;

აქედან გამომდინარე, პროგრამის მოდიფიცირებული სასწავლო გეგმისა და მასში შეტანილი ისეთი ახალი ან მოდიფიცირებული სასწავლო კომპონენტების / დისციპლინების შემოწმებაზე, რამაც უზრუნველყო პროგრამის ინტერდისციპლინური სფეროს – *სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა* – კომპეტენციების გამომუშავება და შესაბამისი ფორმით ასახვა პროგრამის შედეგებში (პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე).

აღნიშნული კომპეტენციების გამომამუშავებელი ახალი სასწავლო კომპონენტების / დისციპლინების სილაბუსების განხილვისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს 1.5 ქვესტანდარტში **სასწავლო კურსი / საგანი** პროგრამის მიმართ აქვს შემდეგი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსში „თანამედროვე საზოგადოება და რელიგია ახლო აღმოსავლეთში“ განახლდეს ლიტერატურა ბოლო გამოცემებით.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში „ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გეოპოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში“ დაზუსტდეს/გასწორდეს პოსტსაბჭოთა კონფლიქტების სწავლების საკითხი.

რჩევა პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იქნება, სასწავლო კურსში "თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი: იდეოლოგია, პოლიტიკა, უსაფრთხოება" არჩევით ლიტერატურაში დაემატოს ინგლისურენოვანი მასალა.

აღნიშნული რეკომენდაციებისა და რჩევის საფუძველზე 1.5 კომპონენტის **სასწავლო კურსი / საგანი** მეტწილი შესაბამისობით შეფასება ექსპერტთა მიერ არ ცვლის პირველი სტანდარტის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა საერთო შეფასებას და ის, ისევე როგორც დანარჩენი 4 სტანდარტი, ექსპერტთა მიერ მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით არის შეფასებული.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

აღნიშვნის ღირსია, რომ პანდემიური პერიოდის დროსაც კი პროგრამამ მოახერხა შეენარჩუნებინა სასწავლო პროცესის განხორციელებაში ენის მატარებელთა ჩართულობა (პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თურქეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ექსპერტი, ასოც. პროფესორი სალიჰ უჩაქი და ირანის ისფაჰანის უნივერსიტეტის პროფესორი აქბარ ჰესაბი).

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთა მონიტორინგის პროცესმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უნივერსიტეტის სწავლების ტრადიციები 2013 წლიდან დღემდე აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში უკვე სტაბილურად პროგრესირებს, აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უკვე ჰყავს კურსდამთავრებულთა თაობები, რომლებიც წარმატებით საქმდებიან შრომით ბაზარზე ან კონკურენტუნარიანები არიან, სწავლა გააგრძელონ სპეციალობით სწავლების ზედა საფეხურებზე სხვა უნივერსიტეტებში.

პროგრამას აქვს უკვე გარკვეული ცნობადობა, საკუთარი ნიშა საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში, რაც იძლევა იმედს, რომ ახალი პროფილის გამოკვეთა ინტერდისციპლინურ სფეროში – *სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა* კიდევ უფრო სტაბილურსა და წარმატებულს გახდის მას.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების ნაწილობრივ გაზიარებისა და ექსპერტთა რჩევების ნაწილის რეკომენდაციებში გადმოტანის შემდეგ „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის შეფასებისას 1.1 ქვესტანდარტი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მიზნებში (და შემდეგ უკვე მათგან გამომდინარე შედეგებში) ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სწავლებაში ისეთი ასპექტები გამოიყოს და წინ წამოიწიოს, როგორცაა რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ასპექტები, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები და საერთაშორისო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ტერორიზმი და საერთაშორისო უსაფრთხოება...
- რეკომენდირებულია პროგრამის მიზნებში გათვალისწინებული იყოს ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები;

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და პროგრამის მონიტორინგის მიზნით დაგეგმილი აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას შპს საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის წარმომადგენლებთან ჩატარებული შეხვედრებიდან გაირკვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 24 ივნისის

№ 782154 გადაწყვეტილებით შპს საქართველოს უნივერსიტეტის „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებული რეკომენდაციების შესასრულებლად აღნიშნული რეკომენდაციები განხილულ იქნა პროგრამის განვითარების საბჭოზე, შეფასდა მათი გათვალისწინების მიზანშეწონილობა, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია თითოეულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განისაზღვრა და განხორციელდა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად საჭირო აქტივობები.

მონიტორინგისას ჩატარებულმა შეხვედრებმა ცხადყო, რომ აღნიშნული ცვლილებების დაგეგმვაში, იმპლემენტაციასა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი ანგარიშის მომზადებაში საკუთარი ფუნქციებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ეტაპზე, ჩართული იყვნენ სკოლის დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამის განვითარების საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალი და პროგრამის სტუდენტები.

შედეგად, პროგრამის განვითარების საბჭომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად მოახდინა პროგრამის მოდიფიცირება და მასში ისეთი ცვლილებების შეიტანა, რამაც უზრუნველყო რეკომენდებული რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფიის, პოლიტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ასპექტების, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებისა და საერთაშორისო პოლიტიკის, ახლო აღმოსავლეთის რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო ტერორიზმისა და საერთაშორისო უსაფრთხოების... კომპეტენციების გამომამუშავებელი სასწავლო კომპონენტების / დისციპლინების ჩართვა პროგრამაში და მათი შედეგების შესაბამისი ფორმით ასახვა პროგრამის მიზნებში ისევე, როგორც პროგრამის მიზნებში აისახა შრომითი ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორთან, აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფმა მოდიფიცირებული პროგრამის გაცნობისა და მონიტორინგისას ჩატარებული ინტერვიუების შედეგად აკრედიტაციის საბჭოს (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) განსაზღვრული რეკომენდაციები შესრულებულად მიიჩნია.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების ნაწილობრივ გაზიარებისა და ექსპერტთა რჩევების ნაწილის რეკომენდაციებში გადმოტანის შემდეგ „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის შეფასებისას 1.2 ქვესტანდარტი შეაფასა ნაწილობრივი შესაბამისობით და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

- რეკომენდირებულია, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, შედეგებში (ისევე, როგორც მიზნებში) გამოკვეთილად აისახოს გლობალური პოლიტიკა და რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა ასპექტები, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები და საერთაშორისო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის რეგიონული და საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ტერორიზმი და საერთაშორისო უსაფრთხოება...

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მისი მიზნების, შედეგების გადამუშავებისა და კვალიფიკაციის ინტერდისციპლინური სფეროს გამოკვეთის თაობაზე მესამე რეკომენდაციის შესრულების მიზნით, პროგრამის მოდიფიცირებისას თანხვედრა კლასიფიკატორით განსაზღვრულ სფეროსთან მეტად გამოიკვეთა. ამ მიზნით პროგრამის განვითარების საბჭომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად მოახდინა პროგრამის სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და მასში ისეთი ცვლილებების შეიტანა, რამაც უზრუნველყო პროგრამის ინტერდისციპლინური სფეროს – *სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა* – კომპეტენციების გამომამუშავებელი ახალი სასწავლო კომპონენტების / დისციპლინების და მათი შედეგების შესაბამისი ფორმით ასახვა პროგრამის შედეგებში (პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე).

აღნიშნული კომპეტენციების გამომამუშავებელი ახალი სასწავლო კომპონენტების / დისციპლინების ჩართვა პროგრამაში დასტურდება განახლებული სტრუქტურით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორთან, აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	✓	□	□	□

ექსპერტთა ჯგუფმა მოდიფიცირებული პროგრამის გაცნობისა და მონიტორინგისას ჩატარებული ინტერვიუების შედეგად აკრედიტაციის საბჭოს (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) განსაზღვრული რეკომენდაცია შესრულებულად მიიჩნია.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) შემდეგ „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის შეფასებისას 1.3 ქვესტანდარტი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

- რეკომენდირებულია შემუშავდეს პროგრამის სამიზნე ნიშნულები;

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მისი მიზნების, შედეგების გადამუშავებისა და კვალიფიკაციის ინტერდისციპლინური სფეროს გამოკვეთის თაობაზე რეკომენდაციების შესრულების მიზნით, პროგრამის მოდიფიცირებისას, როგორც ზემოთაც აღინიშნა, განხორციელდა რიგი სტრუქტურული ცვლილებები, შეიცვალა პროგრამის სასწავლო გეგმა, დაემატა ახალი სასწავლო კომპონენტები / დისციპლინები, რამაც შეცვალა არა მხოლოდ პროგრამის მიზან-შედეგები, არამედ სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულებიც.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან შეხვედრამ ბევრი ფასეული ინფორმაცია მიაწოდა ექსპერტებს ამ მიმართულებით, კერძოდ, უნივერსიტეტის მიერ არა მხოლოდ „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით, არამედ მის მიერ განხორციელებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ მოხდა საუნივერსიტეტო პოლიტიკის გადახედვა სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების, სასწავლო კომპონენტების ფარგლებში შემუშავებული შეფასების ფორმებისა და სამიზნე ნიშნულების მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრისთვის, რათა მათი მეშვეობით რეალურად და ეფექტურად მოხდეს სწავლის შედეგების ეტაპობრივი შემოწმება და შეფასება ხანგრძლივადიან დროით პერსპექტივაში.

ჩატარდა ტრენინგები პროგრამების ხელმძღვანელებისა და განმახორციელებელი პერსონალისთვის, მოხდა ელექტრონულ სასწავლო ბაზაში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელთა ანალიზის, სტუდენტთა გამოკითხვებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმების შეტანა თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულებით. გაიწერა სამიზნე ნიშნულებთან შესატყვისობის შემოწმების დროითი მონაკვეთები.

სწავლის შედეგების შეფასების აღნიშნული მექანიზმით ეტაპობრივად შემოწმდება და შეფასდება საგანმანათლებლო პროგრამები და დაიგეგმება ის ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ელექტრონულ სასწავლო ბაზა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმებით;

- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან ინტერვიუს განმანვლობაში მიღებული ინფორმაცია.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგისას ჩატარებული ინტერვიუებისა და საუნივერსიტეტო ელექტრონული სასწავლო ბაზის გაცნობის შედეგად აკრედიტაციის საბჭოს (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) განსაზღვრული რეკომენდაცია შესრულებულად მიიჩნია.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების ნაწილობრივ გაზიარებისა და ექსპერტთა რჩევების ნაწილის რეკომენდაციებში გადმოტანის შემდეგ „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის შეფასებისას 1.4 ქვესტანდარტი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია, პროგრამის ინტერდისციპლინური სფერო: სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა პროგრამის სტრუქტურაში შესაბამისი ძირითადი სფეროს სასწავლო კომპონენტებით/დისციპლინებით იყოს გაძლიერებული.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მისი მიზნების, შედეგების გადამუშავებისა და კვალიფიკაციის ინტერდისციპლინური სფეროს გამოკვეთის თაობაზე რეკომენდაციების შესრულების მიზნით პროგრამის მოდიფიცირებისას, როგორც ზემოთაც აღინიშნა, განხორციელდა რიგი სტრუქტურული ცვლილებები, შეიცვალა პროგრამის სასწავლო გეგმა, დაემატა ახალი სასწავლო კომპონენტები / დისციპლინები.

პროგრამის განვითარების საბჭომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად პროგრამაში ისეთი ცვლილებების შეიტანა, რამაც უზრუნველყო პროგრამის ინტერდისციპლინური სფეროს – *სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ინფორმაციის მართვა* – კომპეტენციების გამომამუშავებელი სასწავლო კომპონენტების / დისციპლინების შესაბამისი ფორმით შეტანა პროგრამის სტრუქტურაში. კერძოდ:

ა) თავისუფალი კრედიტებიდან ამოღებულ იქნა სასწავლო კურსები ინგლისური ენა A/1 და A/2, რომელიც განკუთვნილი იყო სტუდენტებისთვის, რომელთაც უნივერსიტეტში ჩარიცხვისას სუსტად იცინ ინგლისური ენა და ეს დადასტურებულია ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მათ მიერ მიღებული დაბალი ქულით და მის ნაცვლად პროგრამას დაემატა ახალი **სავალდებულო კურსი - ORST3219 ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გეოპოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში**, როგორც პროგრამის განმახორციელებელი ინსტიტუციის ანგარიშშია აღნიშნული, ეს ცვლილება უცხოურ ენასთან (კონკრეტულად, ინგლისურ ენასთან) დაკავშირებით პრობლემას არ შეუქმნის სტუდენტს, რამდენადაც პროგრამაზე მიმდინარე წელს განისაზღვრა შედარებით მაღალი ბარიერი ინგლისურ ენაში;

ბ) განხორციელდა არსებული სასწავლო კურსის – ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია - შინაარსობრივი დაბალანსება პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიისთვის რელევანტური თემატიკით და, შესაბამისად, მოხდა დასახელებული კურსის მოდიფიცირება, ის ჩამოყალიბდა, როგორც - **ORST2130 ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია**;

გ) პროგრამიდან ამოღებული იქნა საგანი შესავალი საქართველოს ისტორიაში და ჩანაცვლდა საგნით – **ORST1117 საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ურთიერთობები**;

დ) პროგრამის სავალდებულო საგნებიდან ამოღებული იქნა **ORST2220 ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება და კულტურა I** და **ORST3110 ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება და კულტურა II**, თითოეული 6 ECTS მოცულობით, განხორციელდა არსებული თემატიკის გადამუშავება და კონცენტრირება გაერთიანებულ სასწავლო კურსში **ORST2222 ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება და კულტურა**, ხოლო გამოთავისუფლებული კრედიტის ხარჯზე მომზადდა ახალი კურსი - **ORST1116 თანამედროვე საზოგადოება და რელიგია ახლო აღმოსავლეთში**;

ე) პროგრამის სავალდებულო საგნებს დაემატა ახალი კურსი - **JMMB3120 მედია და პოლიტიკა**;

ვ) პროგრამის სავალდებულო საგნებიდან მოდიფიცირდა საგანი თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი და იგი ჩამოყალიბდა როგორც - ORST4211 თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი (იდეოლოგია, პოლიტიკა, უსაფრთხოება).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, განახლებული სტრუქტურა (სასწავლო გეგმა), ახალი და მოდიფიცირებული სასწავლო კურსების სილაბუსები;
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორთან, აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუები.
-

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფმა მოდიფიცირებული პროგრამის გაცნობისა და მონიტორინგისას ჩატარებული ინტერვიუების შედეგად პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან აკრედიტაციის საბჭოს (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) განსაზღვრული რეკომენდაცია შესრულებულად მიიჩნია.

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
-

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების ნაწილობრივ გაზიარებისა და ექსპერტთა რჩევების ნაწილის რეკომენდაციებში გადმოტანის შემდეგ „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის შეფასებისას 1.5 ქვესტანდარტი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის („ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია“, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი“) სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის სიიდან იმ ნაშრომის ამოღება, რომელიც ასახსნელი თემატური მასალის მოსამზადებლად არ გამოიყენება; ასევე, მიზანშეწონილია, „ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის“ სილაბუსის შინაარსი უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის პრობლემატიკაზე;
- მიზანშეწონილია, როგორც პროგრამის, ისე ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში შედეგების ფორმულირების თვალსაზრისით იყოს ერთგვაროვანი მიდგომები და პროგრამა ყველგან მისდევდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმძღვანელო დოკუმენტებსა (ECTS სახელმძღვანელო) და ბლუმის ტაქსონომიით რეკომენდებული ზმნებით (აწმყო დროში, აქტიური ზმნების პირიანი ფორმებით) შედეგების გაწერას. ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგ., „ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია“, „შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში“) სწავლის შედეგებმა, რეკომენდებულია, უფრო მეტად დარგობრივი კომპეტენციები ასახოს, „უნარებისა“ და „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ ფარგლებში კი შესატყვისი სწავლის შედეგები მიეთითოს; ასევე, მიზანშეწონილია, „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის“ სილაბუსში სწავლის შედეგებში, გარდა „უნარებისა“, „ცოდნა-გაცნობიერების“ კომპეტენციაც ნათლად ჩანდეს;
- რეკომენდებულია ცალკეულ სილაბუსებში გაიწეროს შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;

როგორც ზემოთაც აღინიშნა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაში შევიდა გარკვეული ცვლილებები ამ რეკომენდაციათა მოთხოვნების შესაბამისად.

კერძოდ, კურსი "ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკური გეოგრაფია" განახლდა, დაემატა რა პოლიტიკის საკითხები შესაბამისი ლიტერატურით და კურსი გახდა "ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია"; პროგრამას დაემატა კურსი მედია და პოლიტიკა, რომელსაც სოციალური მეცნიერებების სკოლის აკადემიური პერსონალი კითხულობს და რომელიც მოდიფიცირდა აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამისთვის შესაბამისი საკითხების დამატებით; შემუშავდა ორი ახალი კურსი: *სახელმწიფო წყობილება და სამართალი*, თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის: იდეოლოგია, პოლიტიკა, უსაფრთხოება. პროგრამის სავალდებულო საგნებიდან ამოღებულია *ახლო აღმოსავლეთის ხელოვნება და კულტურა (I, II)*, რომელიც გაერთიანდა ერთ საგნად. ასევე, კურსი:

შესავალი საქართველოს ისტორიაში ჩანაცვლდა კურსით: საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ურთიერთობები.

მას შემდეგ, რაც მიღების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის უფრო მაღალი დონე, პროგრამის საგნებიდან ამოღებულია კურსები: ინგლისური ენა A1, A2 და გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე, პროგრამას დაემატა კურსები: თანამედროვე საზოგადოება და რელიგია ახლო აღმოსავლეთში, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გეოპოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში.

აღმოსავლურ ენებში სილაბუსით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები გაუქმდა და დაემატა პრაქტიკული მეცადინეობა. შესაბამისად, ენების ლაბორატორიები გადაკეთდა აუდიტორიებად და სტუდენტი პრაქტიკულ დავალებებს დამოუკიდებლად შეასრულებს, რასაც ლექტორი სემესტრის დასრულების შემდეგ შეაფასებს.

მოდულიზირებული და ახალი კურსების სილაბუსების დეტალურმა გაცნობამ ექსპერტებს დაანახა რიგი საკითხები, რომელთა გაუმჯობესება შესაძლებელია მანამ, სანამ ამ ახალ ან მოდიფიცირებულ კურსებზე სტუდენტები დარეგისტრირდებიან; კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაზე სტუდენტის მიღების წინაპირობად ინგლისური ენის უფრო მაღალი დონე განისაზღვრა, უკვე შესაძლებელია რიგ სასწავლო კურსებში, სადაც ამას თემატური აუცილებლობა მოითხოვს, ინგლისური ლიტერატურის გამოყენებაც. ზოგიერთი ასეთი სასწავლო კურსი კი მხოლოდ ქართულენოვან ლიტერატურას მოიცავს და არ სთავაზობს სტუდენტს ინგლისურენოვანი მასალის არჩევანს (მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურენოვანი მასალა გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ქართული):

- "თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი: იდეოლოგია, პოლიტიკა, უსაფრთხოება" მხოლოდ ქართულენოვანი მასალის მიხედვით ისწავლება;
- კურსში "ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გეოპოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში" მე-10 კვირა მოიცავს შემდეგ საკითხს: "ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ეთნიკურ-რელიგიური კონფლიქტების შედარება ახლო აღმოსავლეთთან", თუმცა ჩამოიღო თემებში არსად ჩანს პოსტსაბჭოთა კავშირის კონფლიქტები და ძირითადი აქცენტი იუგოსლავიის ომებს უკავშირდება. მაგ., "იუგოსლავიის ომების - (ხორვატია) 1991 სერბი მართლმადიდებელი ქრისტიანები რომალური კათოლიკე ქრისტიანების წინააღმდეგ; (ბოსნია) 1991 მართლმადიდებელი ქრისტიანები კათოლიკეების წინააღმდეგ მუსლიმების წინააღმდეგ; შედარება ახლო აღმოსავლეთის რელიგიურ კონფლიქტებთან)".
- კურსში "თანამედროვე საზოგადოება და რელიგია ახლო აღმოსავლეთში" მითითებულია სასწავლო მასალად ნაშრომების შედარებით ძველი გამოცემები: Halliday, *Middle East in International Relations: Power, Politics and Ideology*, 2009 (2015 წლის გამოცემის ნაცვლად); Lee, Robert D. *Religion and Politics in the Middle East: Identity, Ideology, Institutions, and Attitudes*, 2014 (2019 წლის ბოლო გამოცემის ნაცვლად).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აღმოსავლეთმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა, ახალი და მოდიფიცირებული სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის განვითარების საბჭოს ოქმები;
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსში „თანამედროვე საზოგადოება და რელიგია ახლო აღმოსავლეთში“ განახლდეს ლიტერატურა ბოლო გამოცემებით.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში „ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გეოპოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში“ დაზუსტდეს/გასწორდეს პოსტსაბჭოთა კონფლიქტების სწავლების საკითხი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იქნება, სასწავლო კურსში "თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი: იდეოლოგია, პოლიტიკა, უსაფრთხოება" არჩევით ლიტერატურაში დაემატოს ინგლისურენოვანი მასალა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შესაბამისად. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე სტუდენტების ჩარიცხვის წესის შესაბამისად.

სასწავლო პროგრამა ითხოვს აბიტურიენტისგან ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ოფიციალურ საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს ელექტრონული პლატფორმა „ჩემი UG“, რომლის მეშვეობით ხდება სტუდენტის ინფორმირება.

საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, სტუდენტის ჩარიცხვისთვის საჭიროა, რომ სტუდენტი ფლობდეს ინგლისური ენის B2 დონეს.

პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია გარე მობილობის მეშვეობითაც.

პროცედურული თვალსაზრისით, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები საჯარო და გამჭვირვალეა.

საქართველოს უნივერსიტეტში მიღების პირობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდიდან:

www.ug.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აღმოსავლეთმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამაზე მიღების წინაპირობები);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი: www.ug.edu.ge
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	✓	☐	☐	☐

აღნიშნულ ქვესტანდარტთან დაკავშირებით სააკრედიტაციო პროცედურებისას არც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს, არც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) თავის დასკვნაში არანაირი რეკომენდაცია ან რჩევა არ ჰქონია და მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით ჰქონდა შეფასებული.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა მაქსიმალურად ხელს უწყობს აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ჩართვას კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებელ აქტივობებში. სტუდენტების პრაქტიკული მუშაობის უნარების განვითარების მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს აღმოსავლური ენების: არაბული/სპარსული/თურქული პრაქტიკული ათვისების კომპონენტებს. VII და VIII დონეები კი მოიცავს იმ სპეცურსებს, რომელიც ითვალისწინებს აღმოსავლურ ენებში თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციების შერწყმას. აღნიშნული კომპეტენციების განვითარების ნაწილში აქტიურად არიან ჩართულები უცხოელი პროფესორ-მასწავლებლებიც. ასევე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, სტაჟირება გაიარონ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რაც ეხმარება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში.

აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც არის სავალდებულო კომპონენტი კურიკულუმის მიხედვით. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების და კრიტერიუმების დებულების მიხედვით, გაწერილია ნაშრომის შერჩევის, კონცეფციის წარდგენის, წინასწარი განაცხადის და დაცვის ეტაპები და შეფასებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- აღმოსავლეთმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა;
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორთან, აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუები.
-

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

აღნიშნულ ქვესტანდარტთან დაკავშირებით სააკრედიტაციო პროცედურებისას არც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს, არც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) თავის დასკვნაში არანაირი რეკომენდაცია ან რჩევა არ ჰქონია და მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით ჰქონდა შეფასებული.

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები არის მოქნილი და მორგებული სტუდენტის ინტერესებსა და საჭიროებებზე. პროგრამის სწავლების მეთოდები ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სწავლების მეთოდებიდან გამოიყენება ახსნა-განმარტების, ვიდეო-აუდიო მასალის გამოყენების, წიგნზე და წყაროზე მუშაობის, ინტერაქტიული მეცადინეობების, გუნდური მუშაობის, პრეზენტაციის წარდგენის, ვერბალური, დისკუსია-დებატების მეთოდები, რომლებიც შესაბამისობაშია სწავლების საბაკალავრო საფეხურთან. ენების სასწავლო კურსებში, სადაც პრაქტიკული კომპონენტია მოცემული, გამოიყენება სიტუაციური თამაში და დემონსტრირების მეთოდი. ისინი შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აღმოსავლეთმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

აღნიშნულ ქვესტანდარტთან დაკავშირებით სააკრედიტაციო პროცედურებისას არც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს, არც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) თავის დასკვნაში არანაირი რეკომენდაცია ან რჩევა არ ჰქონია და მოთხოვნებთან შესაბამისობით ჰქონდა შეფასებული.

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების ნაწილობრივ გაზიარებისა და ექსპერტთა რჩევების ნაწილის რეკომენდაციებში გადმოტანის შემდეგ „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის შეფასებისას 2.4 ქვესტანდარტი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი არ იყოს მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელი, არამედ პროგრამის განმახორციელებელი სხვადასხვა მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წესი დაიხვეწოს და არსებულმა დოკუმენტმა მოიცვას როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი მოთხოვნების შესახებ აუცილებელი ინფორმაცია სრულად; ასევე, დასახვეწია საბაკალავრო ნაშრომის დაცვის საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების მექანიზმი ნაშრომის შეფასებისას სამართლიანობისა და ობიექტურობის უფრო მეტად უზრუნველსაყოფად ისე, რომ საბჭოს შემადგენლობაში ნახევარი ან ნახევარზე მეტი არ იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი, ექსპერტი და თანახელმძღვანელი;

როგორც ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტმა, ისე პროგრამის მონიტორინგმა ცხადყო, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურებით და შესაბამისია კანონმდებლობასთან. თითოეული ლექტორი თავად ირჩევს შეფასების მეთოდებს, განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებსა და შესაბამის ქულებს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით. გამოყენებული შეფასების სისტემა უმეტესად მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევისაკენ. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას;

სწავლის შეფასება მრავალკომპონენტია და მისი ჯამი 100 ქულას შეადგენს. შუალედური შეფასებისთვის გამოიყენება ისეთი კომპონენტები, როგორცაა წერიტი ქვიზი, პრეზენტაცია, დებატები, ჯგუფური მუშაობა, დავალებები, ლაბორატორიული სამუშაოები. სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება იმ შემთხვევაში თუ შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის გათვალისწინებით დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას.

აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, არსებობს შემდეგი სახის დადებითი შეფასებები:

- 97-100 - A+ (ფრიადი)
- 94-96 - A
- 93-91 - A-
- 87-90 - B+ (ძალიან კარგი)
- 84-86 - B
- 81-83 - B -
- 77-80 - C+ (კარგი)
- 74-76 - C
- 71-73 - C-
- 67-70 - D+ (დამაკმაყოფილებელი)
- 64-66 - D
- 61-63 - D-
- 51-60 - E (საკმარისი)

და უარყოფითი შეფასებები:

- 41-50 - FX (ვერ ჩააბარა)
- ≤40 - F (ჩაიჭრა)

საბაკალავრო ნაშრომს რაც შეეხება, აკრედიტაციის პროცედურებისას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ დაწერილი დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით რეკომენდაციების გაცემის შემდეგ, უნივერსიტეტმა შეცვალა საბაკალავრო ნაშრომის შესახებ დებულება, რომელიც უფრო უზრუნველყოფს ნაშრომის სამართლიან და ობიექტურ შეფასებას. ცვლილების შედეგად, სტუდენტები ნაშრომის დარეგისტრირებამდე წინასწარ კონსულტაციას გადიან. რეგისტრაციის შემდეგ განისაზღვრება ნაშრომის ხელმძღვანელი, ექსპერტი, იქმნება საბჭო. დაცვაზე შეფასებაში არ მონაწილეობს ნაშრომის ხელმძღვანელი. ასევე, შეიცვალა წესი, რომლის მიხედვით პროგრამის ხელმძღვანელი ყველა საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყო. დებულებაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ირჩევა ნაშრომის თემატიკის მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.ug.edu.ge
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურთან;
- საბაკალავრო დებულება;
- საბაკალავრო ნაშრომების სია.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფმა მოდიფიცირებული საბაკალავრო დებულებისა და მონიტორინგისას ჩატარებული ინტერვიუების შედეგად აკრედიტაციის საბჭოს (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) განსაზღვრული რეკომენდაციები შესრულებულად მიიჩნია.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	✓
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდამჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ცდილობს, შექმნას მაქსიმალურად სტუდენტზე მორგებული გარემო, როგორც სასწავლო პროცესის, ისე კურიკულუმგარე აქტივობებით. პროგრამით დაინტერესებულ პირებს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (<https://online.ug.edu.ge/>) შეუძლიათ, დეტალურად გაეცნონ აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას, კრედიტების განაწილებას საგნების მიხედვით და სემესტრულად, ასევე ადმინისტრაციული პროცესებს. ეს ინფორმაცია არის საჯარო და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სანდო ინფორმაციის მიღება.

საქართველოს უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას „ჩემი UG“, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, საკუთარი სასწავლო განრიგის შედგენის, პროფესორების შეფასებების მიღების, კურსის შეფასებების გასაჩივრებისა თუ სხვა.

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური სასწავლო პროცესში ხშირად იყენებს გამოკითხვებს. სტუდენტებს ყოველწლიურად და სემესტრულად ეძლევათ შესაძლებლობა, შეაფასონ სასწავლო პროცესი და პროფესორები.

უნივერსიტეტის ხელშეწყობით სტუდენტები იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა სახის ენობრივ სტაჟირებებში (თურქეთი, ირანი). ასევე, ისინი აქტიურად იღებენ მონაწილეობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორთან, აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

აღნიშნულ ქვესტანდარტთან დაკავშირებით სააკრედიტაციო პროცედურებისას არც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს, არც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (2022 წ. 8

ივლისის გადაწყვეტილებით #782154) თავის დასკვნაში არანაირი რეკომენდაცია ან რჩევა არ ჰქონია და მოთხოვნებთან შესაბამისობით ჰქონდა შეფასებული.

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

განსახილველი „აღმოსავლეთმცოდნეობის“ პროგრამა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაა, შესაბამისად, ეს ქვესტანდარტი შეფასებას არ ექვემდებარება.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	✓
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	25	14	9	4
- პროფესორი	3	0	0	0
- ასოცირებული პროფესორი	6	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	14	12	5	0
სამეცნიერო პერსონალი	2	2	2	2

როგორც ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტმა, ისე პროგრამის მონიტორინგმა ცხადყო, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიურ პერსონალს და მოწვეულ სპეციალისტებს აქვთ როგორც სწავლების, ისე სამეცნიერო მუშაობის სათანადო გამოცდილება და მათი კომპეტენცია ამ თვალსაზრისით ეჭვს არ იწვევს. პროგრამაში ჩართული კურსებს კითხულობენ შესაბამისი სფეროს მკვლევრები, რაც უზრუნველყოფს სწავლის დასახული შედეგების მიღწევას. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, რაოდენობრივი თვალსაზრისით, ოპტიმალურია პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის. მათ შორის არსებული ბალანსიც მისაღებია. მათი დატვირთვაც შეესატყვისება პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სწორად წარმართვას და უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. აკადემიური პერსონალის სალექციო დატვირთვა ასევე ოპტიმალურია - აკადემიურ პერსონალს აქვს როგორც სტუდენტებთან დამატებითი მუშაობის, ისე სამეცნიერო საქმიანობის წარმართვის საშუალება.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი როგორც პედაგოგიური, ისე სამეცნიერო მოღვაწეობის ხანგრძლივი გამოცდილება და შესაბამისი უნარები. ის აქტიურადაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, ხელს უწყობს მის პრაქტიკაში განხორციელებას შესაბამისი ღონისძიებების გატარებით. სპეციალობიდან გამომდინარე, მას მჭიდრო კავშირი აქვს ირანის აკადემიურ წრეებთან. მისი არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული ირანში.

სხვადასხვა სახის მტკიცებულებების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან საჭირო რაოდენობის და შესატყვისი კომპეტენციების მქონე როგორც ადმინისტრაციული, ისე დამხმარე პერსონალით. ამ მხრივ შენიშვნები არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიში;
- აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებელთა პროფესიული აქტივობების ამსახველი მასალა;
- ინტერვიუები აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	✓	□	□	□

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

განსახილველი „აღმოსავლეთმცოდნეობის“ პროგრამა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაა, შესაბამისად, ეს ქვესტანდარტი შეფასებას არ ექვემდებარება.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
---	---------------------------	---	--

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების ნაწილობრივ გაზიარებისა და ექსპერტთა რჩევების ნაწილის რეკომენდაციებში გადმოტანის შემდეგ „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის შეფასებისას 4.1 ქვესტანდარტი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტმა გააქტიუროს მუშაობა როგორც სასწავლო პროცესის, ისე კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით;
- რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად ჩაერთოს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში, რაშიც, სასურველია, უსდ-მ მეტად შეუწყოს მათ ხელი;

როგორც ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტმა, ისე პროგრამის მონიტორინგმა ცხადყო, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია დასტურდება, ერთი მხრივ, შესაბამისი ქვეყნების უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამების და/ან ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობით და, მეორე მხრივ, პროგრამის განხორციელებაში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობით.

პროგრამის საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილმა მასალებმა ცხადყო, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებაში მონაწილეობენ თურქეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ექსპერტი, ასოც. პროფესორი სალიჰ უჩაქი და ირანის ისფაჰანის უნივერსიტეტის პროფესორი აქბარ ჰესაბი.

ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიშიდან ირკვევა, რომ პროგრამის 22 სტუდენტმა 2022 წლის ივლისში მონაწილეობა მიიღო თურქეთის ერდოღანის სახელობის რიზეს უნივერსიტეტის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის სპეციალურ სასწავლო პროგრამაში; იგეგმება სტუდენტთა ენობრივი სტაჟირება რიზეს უნივერსიტეტის 2023 წლის საზაფხულო სკოლაში და საქართველოს უნივერსიტეტის პარტნიორ თეირანის „ფაიამე ნურის უნივერსიტეტის“ (ირანი) სასწავლო ცენტრის 2023 წლის საზაფხულო -საშემოდგომო პროგრამაში.

კვლევითი მუშაობის ინტერნაციონალიზაციის მიზნით პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და აქვეყნებს სამეცნიერო მუშაობის შედეგებს. კერძოდ:

ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ პროგრამულ ანგარიშსა და თანდართულ მასალაში დასტურდება პროგრამის განმახორციელებელთა შემდეგი ინდივიდუალური სამეცნიერო აქტივობები პროგრამულ საანგარიშო პერიოდში:

ა.ჭულუხაძე –

მობსენებები:

თეირანში გამართული სამეცნიერო კონფერენციაზე „ირანი და ცენტრალური აზია აბრეშუმის გზაზე მონღოლთა და ილხანთა ეპოქაში“ (იხ. კონფერენციის თანდართული პროგრამა);

თეირანის უნივერსიტეტის და საქართველოს უნივერსიტეტის მეორე სამეცნიერო ონლაინ სემინარზე „აქემენიანთა მემკვიდრეობა საქართველოში“; ალამე თაბათაბაის უნივერსიტეტის

და საქართველოს უნივერსიტეტის პირველ ონლაინ სამეცნიერო სემინარზე, (იხ. სემინარების თანდართული პოსტერები);

საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ I საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველო და კავკასია - წარსული, აწმყო, მომავალი“,

თ.მეშველიშვილი –

მობსენებები:

ვარშავის უნივერსიტეტის თურქოლოგიის VI საერთაშორისო კონგრესზე - 2022 სექტემბერი (პოლონეთი);

საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის I საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველო და კავკასია - წარსული, აწმყო, მომავალი“.

როგორც ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტმა, ისე პროგრამის მონიტორინგმა ცხადყო, რომ საქართველოს უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის განმახორციელებელთა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ან/და საერთაშორისო პუბლიკაციების დასაფინანსებლად, ასევე, რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაციების პრემირების მექანიზმი. გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედებს საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წარდგენის წესი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისთვის, რომლის სამეცნიერო საბჭო განიხილავს და დადგენილი პროცედურის შესაბამისად აფასებს წარდგენილ პროექტებს და, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, აფინანსებს მას.

ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ქართველოლოგიის ინსტიტუტი (ხელმძღვანელი მ.სანაძე), რომელიც სამეცნიერო კვლევებზეა ორიენტირებული. დასახელებულ ინსტიტუტში ცალკე არსებობს ქართულ-აღმოსავლური კვლევების დეპარტამენტი (ხელმძღვანელი ა. ჭულუხაძე) და აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ ნებისმიერ მკვლევარს ან მკვლევართა ჯგუფს აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის და ახლო აღმოსავლეთის კვლევითი ცენტრის გარდა, შეუძლიათ პროექტის მომზადება და წარდგენა აღნიშნულ ინსტიტუტშიც.

ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ პროგრამულ ანგარიშსა და თანდართულ მასალაში დასტურდება საანგარიშო პერიოდში პროგრამის განმახორციელებელთა შემდეგი

პროექტები:

2022 წლის ივნისში დასრულდა საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის და თეირანის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის (ირანი) ერთობლივი პროექტი და თეირანში სპარსულ ენაზე გამოიცა ა.ჭულუხაძის გამოკვლევა „ირანი და კავკასია: ენობრივი მემკვიდრეობის ანალიზი“,

მომზადებულია კვლევითი პროექტი, რომელიც ეძღვნება ქართული თურქოლოგიის საიუბილეო 100 წლისთავს და მოიცავს: წიგნის გამოცემას „ქართული თურქოლოგია“, საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებას თურქეთის რესპუბლიკის საისტორიო საზოგადოების მხარდაჭერით, ავტორთა კოლექტივის მიერ განმაზოგადებელი ნაშრომის მომზადებას და პუბლიკაციას ქართული თურქოლოგიური სკოლისა და მათი მიღწევების შესახებ. პროექტი მომზადდა თურქული მხარესთან ერთად (პროფ.სალიჰ უჩაქი და დოქტორი - სერპილ იაზიჯი შაჰინი) თსუ-ს, საქართველოს უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით თურქეთის საელჩოს მხარდაჭერით. 2023 წელს გამოიცა პირველი ტომი.

აღუქსანდრე ჭულუხაძე ქართველოლოგიის ინსტიტუტის ეგიდით მუშაობს სამწლიან სამეცნიერო პროექტზე „ქართული ენის ირანულ ნასესხობათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომლის განსახორციელებლად იგეგმება თანამშრომლობა თეირანის უნივერსიტეტთან (ირანი), ვენის ირანისტიკის ინსტიტუტთან (ავსტრია) და „ენციკლოპედია ირანიკას“ სამეცნიერო საბჭოსთან (აშშ).

აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის მიერ მზადდება პროექტი „ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ანოტირებული ბიბლიოგრაფია“, რომლის განხორციელებაშიც დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტებიც.

საქართველოს უნივერსიტეტის და მაზანდარანის უნივერსიტეტის (ირანი) მიერ შეთანხმებულია და ტექნიკური დამუშავების პროცესშია სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „ქალაქ ბეჰმაჰრის გორჯიმაჰალეს (ქართველების უბნის) ისტორია“, რომლის განხორციელებაშიც ირანელ სპეციალისტებთან ერთად აქტიურად ჩართულნი იქნებიან აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამის პროფესორ - მასწავლებლები და სტუდენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიში;
- აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა საერთაშორისო სასწავლო და განმახორციელებელთა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების (ენობრივი სტაჟირებები; საზაფხულო სკოლები, სამეცნიერო კონფერენციები) ამსახველი მასალა;
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი (სამეცნიერო ინსტიტუტის დებულება);
- აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა სამეცნიერო პროექტების ამსახველი მასალა;
- ინტერვიუები აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფი საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი საანგარიშო მასალებისა და მონიტორინგისას ჩატარებული ინტერვიუების შედეგად

დარწმუნდა, რომ როგორც სასწავლო პროცესის, ისე კვლევების ინტერნაციონალიზაცია და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში დინამიკური პროცესია, რომელსაც გაგრძელება ექნება, შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) განსაზღვრული რეკომენდაციები შესრულებულად მიიჩნია.

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელ შპს საქართველოს უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, აუდიტორიები, სამუშაო სივრცეები და ის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების კომპეტენციების გამომუშავებას. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით, როგორცაა პროექტორები, კომპიუტერები და სხვ. აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა განახლდა. კერძოდ, კეთილმოეწყო და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა თურქული ენის კაბინეტი, განახლდა თურქოლოგიის დარგობრივი ბიბლიოთეკაც. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციებს, მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე, აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა მონაცემები (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- საუნივერსიტეტო სივრცე და ინფრასტრუქტურა.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური	✓	□	□	□

რესურსი

აღნიშნულ ქვესტანდარტთან დაკავშირებით სააკრედიტაციო პროცედურებისას არც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს, არც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) თავის დასკვნაში არანაირი რეკომენდაცია ან რჩევა არ ჰქონია და მოთხოვნებთან შესაბამისობით ჰქონდა შეფასებული.

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შპს საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი, ფინანსური თვალსაზრისით, გამართულია და უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებით განხორციელებას და პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას.

აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას გააჩნია სწავლების სრულ ციკლზე გათვლილი ფინანსური გეგმა, რომლის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით არის გამოთვლილი, მორგებულია პროგრამის საჭიროებებზე, ასახავს რეალურად მოსალოდნელ შემოსავლებს და ხარჯებს და, შესაბამისად, ეკონომიკურად მიღწევადია.

პროგრამის განმახორციელებელ უნივერსიტეტს აქვს აუცილებელი და საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორია, პროგრამისათვის რელევანტური სპეციალური სასწავლო სახელმძღვანელოები და ლიტერატურა, ციფრული და სხვა მასალები), მაქსიმალურად უწყობს ხელს აკადემიური პერსონალის პროფესიულ და სამეცნიერო აქტივობებს, მათ შორის, ფინანსური თვალსაზრისით.

პროგრამის ბიუჯეტი ფარავს ისეთ ხარჯებს, როგორცაა: პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, მივლინებების, პროფესიული განვითარების, შიდა გრანტების, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ხარჯები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური გეგმა;

- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორთან, აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

აღნიშნულ ქვესტანდარტთან დაკავშირებით სააკრედიტაციო პროცედურებისას არც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს, არც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) თავის დასკვნაში არანაირი რეკომენდაცია ან რჩევა არ ჰქონია და მოთხოვნებთან შესაბამისობით ჰქონდა შეფასებული.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	✓
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქციაა უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა და სხვ. ამ სამსახურის მოვალეობებში შედის დადგენილ მოთხოვნებთან როგორც სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის სტანდარტების შესაბამისობის კონტროლი, ისე უნივერსიტეტის დოკუმენტაციის მოწესრიგება ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის, უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების მხარდაჭერა. სამსახურს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა. მონიტორინგისა და შეფასების პროცედურის მიზანია ინფორმაციის მოძიება-შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და შედეგების შესატყვისი რეკომენდაციების ჩამოყალიბება. პროგრამის მონიტორინგს ახორციელებენ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით.

უნივერსიტეტს აქვს დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დებულება. ის განსაზღვრავს პროგრამის ადმინისტრირების, მისი შექმნის, პროგრამის შეფასება-განვითარების მექანიზმებს.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განახლებას კურირებს პროგრამის ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის საბჭო, განახლების შესახებ კი - დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭო.

ამასთან, უნივერსიტეტში დადგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, რომელიც ეფუძნება პრინციპს - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ და მოიაზრებს შემდეგი მოქმედებების განხორციელებას:

- ✓ შრომის ბაზრის კვლევას;
- ✓ პროგრამასთან შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბებას;
- ✓ დასავლური ანალოგიური პროგრამების შესწავლას;

- ✓ პოტენციური აკადემიური პერსონალის ხედვების შესწავლას;
- ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლისა და დამოკიდებულებების შესწავლას;
- ✓ პროგრამის კვალიფიკაციის, მიზნებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრას;
- ✓ პროგრამის კურიკულუმის სტრუქტურის ჩამოყალიბებას;
- ✓ პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შემუშავებას.

საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების პროცესი მიმართულია სტუდენტის მიერ პროგრამით დასახული მიზნების მიღწევაზე, სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციების გამომუშავებასა და სტუდენტისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებაზე.

უნივერსიტეტში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმი, რომელიც აერთიანებს ხარისხის როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასების ფორმებს. ხარისხის შეფასების პირდაპირი ფორმების მიზნით დადგენილია აკადემიური მოსწრების ანალიზი და სწავლის შედეგების რუკის ფორმირება, ხოლო შეფასების არაპირდაპირი შეფასების ფორმათაგან დაწესებულია დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

ყურადღება ექცევა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიღწევებს, რათა მათი გაზომვა-ანალიზის შედეგად დადგინდეს პროგრამითა და ცალკეული სასწავლო კურსებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავების დეტერმინანტები, ხელშემშლელი ფაქტორები და განისაზღვროს მათი აღმოფხვრის საშუალებები.

სწავლის შედეგების ამსახველი რუკა პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრის ერთ-ერთი ინდიკატორია. ის იძლევა პროგრამისა და სასწავლო დისციპლინებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შედარების საშუალებას. კურიკულუმის რუკის დახმარებით გარკვეულწილად დგინდება, რომელი კურს(ებ)ი არის ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებაზე.

ყურადღება ექცევა პროგრამით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, რომლის ფარგლებშიც გროვდება მონაცემები, რომლებიც უკავშირდება პროგრამით ან სასწავლო კურსებით თუ პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტით, სწავლების მეთოდთა ეფექტურობითა და სასწავლო ლიტერატურით სტუდენტთა კმაყოფილებას.

უნივერსიტეტში ტარდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამით, პრაქტიკული/კვლევითი კომპონენტებით, სწავლების მეთოდების ეფექტურობითა და სასწავლო ლიტერატურით აკადემიური პერსონალის კმაყოფილების ხარისხზე. აკადემიური პერსონალის გამოკითხვა გამოიყენება შემდეგ პროგრამის გასაუმჯობესებლად. საჭიროებისამებრ ისინი იღებენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან მხარდაჭერას.

უნივერსიტეტში მოქმედებს Turnitin-ის პროგრამა, საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმები. უნივერსიტეტში მოქმედებს აფილირების წესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო რეგულაციები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსსა და წევრებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.
-

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში პროგრამის ხარისხის გარე შეფასება ეყრდნობა შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების კვლევებს, რომლებიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ტარდება.

დამსაქმებელთა საჭიროებების დასადგენად გამოიყენება სპეციალური კითხვარები, რომელთა დახმარებითაც მოწმდება პროგრამის სწავლის შედეგების აქტუალურობა, დასაქმების მოთხოვნები, რათა მათ მოერგოს პროგრამა და თანამედროვე ტენდენციებს ითვალისწინებდეს . გამოკითხვების შედეგები ანალიზდება, რათა გაირკვეს, რა სახის ცვლილებები უნდა შევიდეს პროგრამაში და რა აუცილებელი კურსდამთავრებულის კონკურენტულობის ამადლებისთვის.

ამასთან, კურსდამთავრებულთა კვლევა მიზნად ისახავს პერიოდულად დასაქმების მაჩვენებლების განსაზღვრასა და ანალიზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო რეგულაციები, გამოკითხვის კითხვარები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსსა და წევრებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.
-

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 ხარისხის შეფასება	გარე ✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შპს საქართველოს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში ჩართული არიან აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვა დაინტერესებული პირები რელევანტური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებისა და ანალიზის გზით. სასწავლო კურსის დახვეწის მიზნით სტუდენტები კითხვარების დახმარებით აფასებენ ამ კურსს.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ (2022 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილებით #782154) ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების ნაწილობრივ გაზიარებისა და ექსპერტთა რჩევების ნაწილის რეკომენდაციებში გადმოტანის შემდეგ „აღმოსავლეთმცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამის შეფასებისას 5.3 ქვესტანდარტი შეაფასა მეტწილი შესაბამისობით და განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგის ღონისძიებები აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის შინაარსობრივი მხარის სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ახალ მოთხოვნებთან უფრო მეტად თავსებადობის, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცედურული თუ შინაარსობრივი საკითხების გადამუშავების, პრაქტიკაში ხარისხის შიდა რეგულაციების სრული დაცვის, სილაბუსების დახვეწის, პროგრამის განვითარების მიზნით პრობლემების დადგენა-იდენტიფიცირებაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარების მიმართულებით.

ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი ანგარიში იძლევა ინფორმაციას, რომ საქართველოს უნივერსიტეტში შიდა მონიტორინგის განხორციელების მექანიზმს წარმოადგენს პროგრამის განვითარების საბჭო. გარდა ამისა, ხარისხის სამსახურში მოქმედებს შიდა მონიტორინგის სამსახური, რომელთანაც ანგარიშვალდებულია სხვადასხვა სკოლა და პროგრამის ხელმძღვანელობა.

პროგრამის მუდმივ მონიტორინგს დეპარტამენტთან და სკოლასთან ერთად ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

საქართველოს უნივერსიტეტში შიდა მონიტორინგის მექანიზმად უნდა ჩაითვალოს პროგრამის მართვის საბჭოც, რომელიც შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და მისი საქმიანობის პრინციპი აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში.

აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით მოხდა აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმასა და ცალკეულ სილაბუსებში აღმოჩენილი გარკვეული ხარვეზების მონიტორინგი და სილაბუსების მოდიფიცირება, ასევე პროგრამის სრულად გადაწყობა და მორგება სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე.

როგორც ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშით ირკვევა, ყველა ზემოაღნიშნულმა სამსახურმა საფუძვლიანად გადაამოწმა და გაასწორა საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ყველა ხარვეზი, რამაც ამ რეკომენდაციის საფუძველი შექმნა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამული ანგარიში;
- აღმოსავლეთმცოდნეობის მოდიფიცირებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსსა და წევრებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	✓
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა


შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტანდარტები				
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

დარეჯან გარდავაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თინათინ ქაროსანიძე

